სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

67824946626321

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N211360839

რეგისტრაციის თარიღი

07.12.2021 წ

ნოტარიუსი: ნინო სალაძე
მისამართი: თბილისი, ც. დადიანის #105
ტელეფონი: 2 660 383

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო, ქალაქი თბილისი, ორი ათას ოცდაერთი წლის შვიდი დეკემბერი
ჩემთან, ნოტარიუს ნინო სალაძესთან სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისი, ც. დადიანის ქუჩა #105, გამოცხადდა: გიორგი გიორგაძე (დაბადებული: 28.04.1983 წელს, რეგისტრირებული: საქართველო, ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა, 152, ბინა 25, პ/ნ 01019016091) როგორც შ.პ.ს. „ნეიმსფეის.ჯი"-ს (საიდენტიფიკაციო #405253933) დირექტორი და განაცხადა, რომ სურს უფლებამოსილება მიანიჭოს ანა ლებანიძეს (დაბადებული: 15.01.1993 წელს, პირადი ნომერი 34001008506). მან განაცხადა რომ სურს შეადგინოს მინდობილობა და მოითხოვა ამ მინდობილობის სანოტარო წესით დადასტურება. მისი პირადობა დავადგინე მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, მისი ქმედუნარიანობა შევამოწმე, უფლებამოსილება შევამოწმე ამონაწერით სამეწარმეო რეესტრიდან და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, წავუკითხე განვუმარტე სამართლებრივი შედეგები, მან თავადაც წაიკითხა და განაცხადა რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგი შინაარსის დოკუმენტს.

მინდობილობა

მე, გიორგი გიორგაძე (დაბადებული: 28.04.1983 წელს, რეგისტრირებული: საქართველო, ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა, 152, ბინა 25, პ/ნ 01019016091) როგორც შ.პ.ს. „ნეიმსფეის.ჯი"-ს (საიდენტიფიკაციო #405253933) დირექტორი უფლებამოსილებას ვანიჭებ, ანა ლებანიძეს (მონაცემები მოცემულია ზემოთ), მასზედ რომ : იყოს შპს „ნეიმსფეის.ჯი"-ს (საიდენტიფიკაციო #405253933) წარმომადგენელი და ხელი მოაწეროს შემდეგ დოკუმენტაციას:

-დომენური სახელის რეგისტრაციის ხელშეკრულებას და გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტს;

- ჰოსტინგის მომსახურების ხელშეკრულებას და გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტს;

-მეილ ჰოსტინგის მომსახურების ხელშეკრულებას და გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტს;

-ვებგვერდის და ინტერნეტ მაღაზიის მომსახურების (ყოველთვიური, 3 თვეში ერთხელ, 6 თვეში ერთხელ და 1 წელიწადში ერთხელ გადახდის პირობით) ხელშეკრულებას და გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტს.

მოაწეროს ხელი ჩემი როგორც დირექტორის სახელით შესაბამის ხელშეკრულებებს და შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესრულებასთან. მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მარწმუნებლის მიერ მის გაუქმებამდე. მინდობილობა შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, ორი გადაეცა მიმნდობს, ერთი ინახება ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელსაც ერთვის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და წესდების ფ/ასლი. გადახდილია საზღაური, საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილება #507-ს ("სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების" შესახებ) 31-ე მუხლის შესაბამისად 10 (ათი) ლარი + დღგ 1.80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) + ასევე 2 (ორი) ლარი, იგივე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, სულ 13.80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

მიმნდობი: ----------

ნოტარიუსი ნინო სალაძე